ინდივიდუალური ასისტენტის როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის პროცესში სასწავლო აქტივობების დროს

ნინო ხარიტონიშვილი ელიკო ხომერიკი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული; პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი; 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ხარიტონიშვილი

ელიკო ხომერიკი

02.07.2021

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, ინდივიდუალური ასისტენტის როლის განსაზღვრის მიზნით, სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის პროცესში სასწავლო აქტივობების დროს.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ძირითადი ინფორმაცია მოპოვებულია თვისებრივი გზით, ინდივიდუალური ასისტენტების, საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების და სსსმ მოსწავლეთა მშობლებისაგან შემდგარი ფოკუს-ჯგუფების, ასევე, დირექტორთან, ჩაღრმავებული ინტერვიუს საფუძველზე, რომლის მიზანს წარმოადგენს მათი ინდივიდუალური როლის დადგენა საგაკვეთილო პროცესში სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში, ჩვენს მიერ, ასევე განხორციელდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, სიტუაციის ადგილზე შესწავლის მიზნით.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევაში ჩართული პირები არ არიან ინფორმირებული ინდივიდუალური ასისტენტის ფუნქცია-მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და ზოგადად სერვისის დანიშნულებასთან დაკავშირებით. აგრეთვე გამოიკვეთა მოსწავლის მიჯაჭვულობის პრობლემა ინდივიდუალურ ასისტენტზე, რომლის პრევენციისთვისაც დაიგეგმა ერთი შემთხვევის დიზაინის პრინციპის გამოყენებით ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალური ასისტენტი ხელმძღვანელობდა ჩვენს მიერ შემუშავებული ასისტირების გეგმით. მოცემულ ეტაპზე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ექსპერიმენტში ჩართულ პირთა ცოდნამ გაზარდა სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი საკლასო აქტივობების დროს.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შევიმუშავეთ სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციები,

რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლების, ასევე სკოლაში მომუშავე ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტებისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სსსმ მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი, ინდივიდუალური ასისტენტი, დამოუკიდებლობის ხარისხი, ასისტირება.

Abstract

This work is a report of a practice study conducted in one of the public schools in Tbilisi to determine the role of an individual assistant during the learning activities in the process of increasing the degree of independence of the SENstudent.

The both qualitative and quantitative research methods were used in the research process. The main information is obtained through focus groups consisting of individual assistants, teachers of subject, special teachers and focus groups consisting of parents of SEN students, as well as an in-depth interview with the principal to determine their individual role in enhancing the degree of SEN student independence in the classroom. As part of the research, we also monitored the lesson process in order to study the situation on the place.

Using these methods, the study found that persons involved in the study were not informed about the function-duties, responsibilities of the individual assistants and in general regarding to the purpose of the service. The problem of student dependence on an individual assistant was also identified, for the prevention of which an experiment was planned using the one-case design principle, in which the individual assistant was guided by an assistance plan developed by us. Based on the results of the research at this stage, the knowledge of the persons who involved in the experiment increased the degree of independence of the SEN student during classroom activities.

Based on the results of the research, we have developed recommendations for increasing the degree of SEN student independence, which is important for both teachers and for specialists supporting inclusive educationworking in the school.

Keywords: inclusive education, SEN student, special education teacher, individual assistant, degree of independence, assistance.

მადლობა

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორს, ქალბატონ თინათინ ჭინჭრაულს, - კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევის ყველა მონაწილეს, თანამშრომლობისათვის. სკოლის დირექტორს, საგნის მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს, მშობლებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

ბოლოს, მადლობა ჩვენს ლექტორს, ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორს, სალომე პატარიძეს, ნაშრომის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.